საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

2946-01-2-201407071956

N 01/2946
07/07/2014

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 199
თარიღი: 14 07 2014 წ.

ა.ა.ი.პ. „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"

დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი მიმდინარე წლის 24 ივნისის N385 წერილის პასუხად, დანართის სახით გიგზავნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს. ამასთან გაცნობებთ, რომ პირველი კვარტლის „შრომის ანაზღაურების" მუხლით გათვალისწინებულმა გეგმამ შეადგინა 2 358 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა 2 265 848 ლარი.

დანართი: 12 ფურცელი.

პატივისცემით,

მაკა ჯაიანი

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს I კვარტლის ანგარიში (25 00)

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:
საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (25 02)

პროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

(ათ. ლარებში)

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	**501 720.0**	**507 175.0**	**62 873.3**	**12.4 %**	
25 02 02	გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა	214 320.0	214 320.0	28 961.3	13.5 %	
25 02 03	ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა	281 500.0	286 955.0	32 301.1	11.3 %	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

პროგრამა: გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - **გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (25 02 02).**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.**

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის "გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაციის" ღონისძიებების ფარგლებში:

- დაწყებულია სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოები 2013 წლიდან 2014 წელს გარდამავალ ობიექტებზე. 2014 წლის გეგმით გათვალისწინებული ახალი ობიექტების ნაწილზე უკვე გაფორმდა ხელშეკრულებები და სრულდება სამუშაოები, ნაწილზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები და უახლოს პერიოდში დაიწყება სამუშაოები;
- მიმდინარეობს ახალი საფარების მოწყობა, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნეგებობების რეაბილიტაცია;
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით 2014 წელს ჩასატარებელი სამუშაოების ნაწილში დაწყებულია მუშაობა, დანარჩენზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები და უახლოეს პერიოდში დაიწყება შესაბამისი სამუშაოები.

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის "გზების მიმდინარე შეკეთებისა და შენახვა ზამთრის პერიოდში" ღონისძიების ფარგლებში:

- დაწყებულია 2014 წლის გეგმით გათვალისწინებული მიმდინარე შეკეთების სამუშაოები საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე. მიმდინარეობს მიწის ვაკისის, გზის სავალი ნაწილის, ხელოვნური ნაგებობების, სადრენაჟო სისტემების, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების და გზის კუთვნილების კეთილმოწყობის, ასევე ზამთრის მოვლა-შენახვის სამუშაოები.

თბილისის შემოსასვლელი საავტომობილო გზის 15-21 კმ მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის ფარგლებში:

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საავტომობილო გზის მეწყერულ მონაკვეთებზე მიწის ვაკისის მდგრადობის გაუმჯობესების კვლევითი სამუშაოები.

მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში:

- დაწყებულია ნაპირსამაგრი სამუშაოები 2013 წლიდან 2014 წელს გარდამავალ ობიექტებზე, ასევე მიმდინარეობს სამუშაოები 2014 წლის გეგმით გათვალისწინებულ ახალ ობიექტებზე.

მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 132 კმ-ზე გველეთის ხიდის მშენებლობა:

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ხიდის შუალედი ბურჯებისათვის ხიმინჯოვანი საძირკვლების მოწყობის სამუშაოები.
- მიმდინარეობდა მდ. თერგის მარცხენა ნაპირის სარეგულაციო კედლის მშენებლობა.
- მიმდინარეობდა განაპირა ბურჯის არმირების და ბეტონირების სამუშაოები.

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორც 2013 წლიდან 2014 წელს გარდამავალ ობიექტებზე, ასევე 2014 წელს ახალ ობიექტებზე გაფორმებულ ხელშეკრულებებზე.
- 2014 წლის I კვარტალში მიმდინარეობდა ახალი ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. იმ ობიექტებზე, სადაც არსებობდა საპროექტო გადაწყვეტილებები გამოცხადდა ტენდერი, უახლოეს პერიოდში დაიწყება სამუშაოები

კახეთის რეგიონული გზების განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- სასადილო-სიონი საავტომობილო გზის კმ 1-კმ 17.4 მონაკვეთებზე ხელშეკრულება გაფორმებულია, მიმდინარეობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.
- ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი ს/გზის საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებებზე და მიმდინარეობს სამუშაოები. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (25 02 03).

პროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი-სვენეთის კმ55-80 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- მიმდინარეობდა ბეტონის საფარზე დეფექტების გამოსასწორებელი სამუშაოები.
- მიერთებებზე ასფალტობეტონის მოწყობის სამუშაოები.
- ასევე მიმდინარეობდა სადრენაჟე სისტემების მოწესრიგების სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი-სვენეთის კმ55-80 მონაკვეთზე გამყოფი ზოლის ნიუჯერსის ტიპის ბარიერებით და გზის შემოფარგვლა ლითონის ზღუდარებით:

- დასრულდა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები
- დაიწყო მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ 80 - კმ 95 სვენეთი-რუისის (სვენეთი-მდ. ლიახვის) კმ 80-კმ 84,75 (I ლოტი) მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და გზის ორივე მიმართულება ექსპლუატაციაშია.

- დასრულდა დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. კონტრაქტორმა დეფექტებით შესრულებული ყველა სამუშაო გამოასწორა.
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისიწნებული საბოლოო ანგარიშსწორების სერთიფიკატის მომზადების პროცედურები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ 80-კმ 95 სვენეთი-რუისის (მდ. ლიახვზე ხიდის) კმ 84.75-კმ 86.2 (II ლოტი) მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია.
- მიმდინარეობს დეფეტქტების აღმოფხვრის ერთ წლიანი პერიოდი.
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მცირე მოცულობის დარჩენილ სამუშაოების წარმოება.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის (მდ. ლიახვი-რუისი) კმ 86,2-კმ 94,531 (III ლოტი) მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დასრულებულია.
- მიმდინარეობს დეფეტქტების აღმოფხვრის ერთ წლიანი პერიოდი.
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მცირე მოცულობის დარჩენილ სამუშაოების წარმოება.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რუისი-აგარა კმ95-114 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები.
- მიმდინარეობდა წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები.
- გზაგამტარებზე ნაწილობრივ შესრულდა მალის ნაშენის გამაერთიანებელი ფილის მოწყობის სამუშაოები
- ასევე საგზაო საფარის საფუძვლის მოწყობის სამუშაოები.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის აგარა-ზემო ოსიაური კმ114-126 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- მიმდინარებდა სატენდერო პროცედურები.

საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამის (ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა) (აზიის განვითარების ბანკი) ფარგლებში:

- ლოტი I - ახლად აშენებულ 12.4 კმ მონაკვეთზე მოძრაობა გახსნილია.
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს დეფექტების აღმოფხვრის ერთ წლიანი პერიოდი
- კმ 30 -კმ 33 მონაკვეთზე მიმდინარეობდა გაბიონის კედლების მოწყობის სამუშაოები.

- ლოტი II - მიმდინარეობდა ხიდების ნაბურღ-ნატენი რკინა-ბეტონის ხიმინჯების, როსტვერკების, კოლონების და რიგელების მოწყობის სამუშაოები. ასევე მალის ნაშენის მოწყობის სამუშაოები, წინასწარდაძაბული კოჭების დამზადება-მონტაჟი
- მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის, რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილების მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის (იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო) ფარგლებში:

- საანგარიშო პერიოდში ქუთაისის შემოვლითი გზის (კმ 0+000-კმ 17+300) მონაკვეთზე მიმდინარეობდა და უმეტეს წილად შესრულდა მიწის ვაკისის, წყალგამტარი მილების, მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები.
- მიმდინარეობდა ხიდებზე როსტვერკების, კოლონების, რიგელების მოწყობის სამუშაოები.
- ნაწილობრივ შესრულებულია ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.
- მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის წინასწარდაძაბული კოჭების მონტაჟის სამუშაოები.
- ასევე მიმდინარეობდა მიწისქვეშა და საჰაერო კომუნიკაციების (ელ-ხაზების და გაზის მილების) გადატანის სამუშაოები.
- ქუთაისის შემოვლითი_სამტრედიის კმ 0+000-კმ 25+608 მონაკვეთზე მიმდინარეობდა და ნაწილობრივ დასრულდა მიწის ვაკისისა და წყალგამტარი მილების, მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები.
- მიმდინარეობდა და ნაწილობრივ შესრულება გზაგამტარებზე ნაბურღ-ნატენი რკინა-ბეტონის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები.
- ნაწილობრივ შესრულდა ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.
- ასევე მიმდინარეობდა მიწისქვეშა და საჰაერო კომუნიკაციების (ელ-ხაზების და გაზის მილების) გადატანის სამუშაოები
- ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი ს/გზის (კმ0+000-კმ15+172) მონაკვეთზე მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის (ჰუმუსოვანი ფენის მოხსნა) სამუშაოები.

სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ0-კმ50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის (ევროპის საინვესტიციო ბანკი) ფარგლებში:

- სამტრედია-გრიგოლეთის ლოტი I კმ0+000 – კმ 11+500 მონაკვეთზე მიმდინარეობდა მოსამზედებელი და სამობილიზაციო სამუშაოები.

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (25 03);

პროგრამის განმახორციელებელი: <u>სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“</u>

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
25 03	რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	187 075.0	191 245.0	20 024.8	10.5 %	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

2014 წლის პირველ კვარტალში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ძირითადად მიმდინარეობდა 2014 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების განხორციელება. ასევე, დაფინანსდა 2014 წელს დაწყებული რამოდენიმე ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა მუნიციპალური და კულტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, წყალარინების, ნაპირსამაგრი, კულტურული, ტურისტული, საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას. აღნიშნული პროექტების დაფინანსება ხორციელდებოდა მსოფლიო ბანკის (IBRD), აზიის განვითარების ბანკის (ADB) და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი სახსრებიდან.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები - 25 03 01**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: **სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“**

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა: საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ქ. მცხეთაში, გმირის ქ N16-ში მდებარე N3 ბაგა-ბაღის რეაბილიტაციისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ბათუმში დევნილთა დასახლებაში 22 საცხოვრებელი კორპუსის გარე ჰიდრო და თბოიზოლაციის მოწყობა;
- სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ხარჯები;
- მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკი) – 25 03 02**

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა: საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში ხარჯები გაწეული არ ყოფილა. აღნიშნული პროგრამა დასრულების სტადიაზეა და 2014 წელს დაგეგმილია წინა პერიოდში დასრულებული რამოდენიმე საინვესტიციო პროექტის ხაზით საბოლოო ანგარიშსწორებები.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება (მსოფლიო ბანკი) – 25 03 03**

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ქ. ზუგდიდში შ. ხუბულავას სახელობის ქუჩის რეაბილიტაცია;
- შუხუთი-აცანა-მამათის გზის რეაბილიტაცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში;
- პროექტის საოპერაციო ხარჯები.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (აზიის განვითარების ბანკი) – 25 03 04

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა: საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ანაკლიის ნაპირგამაგრების სამუშაოების პროექტირება და ზედამხედველობა;
- ანაკლიის ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობა;
- თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) გზის მონაკვეთის მოდერნიზაცია I და III სექცია (საავანსო გადახდა);
- ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლადსილის გზის 74-80კმ; 89კმ (გვირაბის); 91-103კმ; 121-125კმ მშენებლობის ზედამხედველობა;
- საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად დონორისათვის პირდაპირი წესით გადახდა ფინანსთა სამინისტროს მიერ;
- პროექტის მომსახურების საოპერაციო ხარჯები.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (მსოფლიო ბანკი) – 25 03 05**

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ქ. თელავში ბატონის სასახლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სამუშაოების საპროექტო მომსახურება;
- ქ. თელავში შენობების დამატებითი სარესტავრაციო სამუშაოები;
- ქ. თელავის ქუჩების გამწვანება-კეთილმოწყობა (ქ. თელავის ცენტრალური ნაწილი);
- სოფელ კისისხევში მდებარე ღვინის მარნისა და სასტუმროს „შუხმან ვაინს გეორგიასთან“ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- ლოპოტის ტბასთან მისასვლელი შიდა გზების რეაბილიტაცია;
- სოფელ ველისციხეში „კახურ ტრადიციულ მეღვინეობასთან“ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ძველი შუამთა, ახალი შუამთა, იყალთო);
- იყალთოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საკონსერვაციო-სარესტავრაციო დოკუმენტაციის დეტალური პროექტის მომზადება;
- რეგიონული განვითარების პროექტების ფარგლებში კახეთის რეგიონში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება;
- სასამართლო დავების ბაჟი;
- პროექტის მომსახურების საოპერაციო ხარჯები.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) (მსოფლიო ბანკი)** – 25 03 06

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა: საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ქ. წყალტუბოს კურორტის მართვის ოფისის, პარკში და ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მცირე ზომის ტურისტული შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- ქ. წყალტუბოში "ცივი" ტბის და ტბიდან გამყვანი არხების რეაბილიტაცია;
- ქ. წყალტუბოში წრიული გზის, ცენტრალური პარკის და ცივი ტბის ტერიტორიაზე გარე განათების რეაბილიტაცია;
- ქ. წყალტუბოს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- რეგიონული განვითარების პროექტი II-ის ფარგლებში იმერეთის რეგიონში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება;
- პროექტების მომსახურების საოპერაციო ხარჯები.

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - 25 04**

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“

✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	130 980.0	130 980.0	9 639.4	7.4 %	

2014 წლის პირველ კვარტალში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობდა როგორც 2014 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების, ასევე - მიმდინარე წელს დაწყებული რამოდენიმე ახალი პროექტის განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგების, კანალიზაციის, წყალარინების და მასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას. ქვეპროექტების დაფინანსება ხორციელდება ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი სახსრებიდან.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **ქობულეთის წყალანარინების პროექტი (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ნიდერლანდების განვითარების საექსპორტო ბანკი) – 25 04 01**

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა: აღნიშნული ქვეპროექტიდან 2014 წლის პირველ კვარტალში ხარჯების გაწევა არ მომხდარა. ამ ნაწილში სამუშაოების განხორციელებისათვის სატენდერო პროცედურები უკვე დასრულებულია და სამუშაოების ძირითადი ნაწილი დაგეგმილია 2014 წლის მეორე კვარტლიდან.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (ევროპის საინვესტიციო ბანკი)** – 25 04 02

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა: საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ურეკის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- ქ. ქარელის ტერიტორიაზე წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- ქ. ჩოხატაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (ფაზა 3);
- ლანჩხუთის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია;
- ოზურგეთის წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია;
- ხანდოს წყაროებიდან წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ქალაქ ასპინძაში, სოფელ ნიჯგორსა და აწყვიტაში;
- ქ. კასპის ტერიტორიაზე წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია;
- ტყიბულის წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია;
- ცაგერის სათავე ნაგებობის "ცივწყაროს" წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია;
- წყალტუბოს წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია;
- ქ. ბაღდათის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- მრიცხველების ყუთების მიწოდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის;
- საქართველოს 17 ქალაქში წყალსადენი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული **კოდი: წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროკავშირი) – 25 04 03**

აღნიშნული პროექტიდან 2014 წლის პირველ კვარტალში ხარჯების გაწევა არ მომხდარა. ამჟამად, ძირითადად, მიმდინარეობს ქვეპროგრამის ხაზით სამუშაოთა შესრულებაზე, ასევე საქონლისა და მომსახურების შეძენაზე სატენდერო პროცედურები. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება დაიწყება 2014 წლის მეორე კვარტლიდან.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი (შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო)** – 25 04 04

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა: საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის ფონდის თანამშრომლების სასწავლო ტური შვედეთსა და ლატვიაში. პროგრამა მოიცავდა ტრეინინგებს, სწავლებასა და სტაჟირებას წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მართვის შესაბამის სამსახურებში, რისთვისაც დონორის სახსრებიდან გამოიყო 266,8 ათასი ლარი.

ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (აზიის განვითარების ბანკი) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში - 25 04 05:

- მესტიის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის მშენებლობა მესტია I-ზე, მესტიის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია მესტია II-ზე, ანაკლიის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია ასევე, ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ ფოთში გაფორმებული კონტრაქტების ფარგლებში მიმდინარეობდა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები;

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:

იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა - 25 05

პროგრამის განმახორციელებელი: **სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“**

(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
25 05	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	50 125.0	44 670.0	2 447.6	5.5 %	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა: 2014 წლის პირველ კვარტალში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობდა 2014 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების და მიმდინარე წლის განმავლობაში დაწყებული რამოდენიმე ახალი პროექტის განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, კომპაქტური ჩასახლების ადგილებში ინფრასტრუქტურისა და ბინების კეთილმოწყობას, საცხოვრებელი ბინების მშენებლობა რეაბილიტაციას და ა.შ.. აღნიშნული პროექტების დაფინანსება ხორციელდებოდა ევროკავშირის (EU), გერმანიის საინვესტიციო ბანკის (KfW), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი სახსრებიდან.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია (ევროკავშირი) – 25 05 01**

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ქ. ფოთში მალთაყვის რაიონში, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შვიდი ხუთსართულიანი, მრავალბინიანი სახლების სამშენებლო სამუშაოები.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რებილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი) – 25 05 02**

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ქ. ქუთაისში ი. ჭავჭავაძის გამზირის N58-ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლა-ინტერნატის შენობის რებილიტაცია და ახალი კორპუსის მშენებლობა;
- ქ. ფოთში მშვიდობის ქ. №8-ში მდებარე ყოფილი სასტუმრო "აიეტის" შენობის რეაბილიტაცია და ახალი კორპუსის მშენებლობა;
- ქ. ზუგდიდში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 5 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა;
- ქ. ზუგდიდში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 3 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა;
- საკონსულტაციო სამუშაოები იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების საგანგებო სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობაზე დასავლეთ საქართველოში.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (USAID) – 25 05 03**

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ქ. ქუთაისის ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია იძულებით გადაადგილებული პირების ბინების მოსაწყობად;
- ყოფილი საავადმყოფოების შენობების რეაბილიტაცია იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) ბინების მოსაწყობად სამცხე-ჯავახეთის და შიდა ქართლის რეგიონებში (ბორჯომი და კასპი);
- ყოფილი საავადმყოფოების შენობების რეაბილიტაცია იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) ბინების მოსაწყობად იმერეთის რეგიონში (ხონი და ბაღდათი);
- ტირიფონის და სალთვისის საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია;
- წყალსადენი სისტემის (9 სოფელი) და დრენაჟის (7 სოფელი) რეაბილიტაცია იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში (გორის, ქარელის, კასპის და მცხეთის რაიონებში);
- ახალი ჭაბურღილის კვლევის და საპროექტო მომსახურების გაწევა რეაბილიტაცია იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) დასახლებაში (მოხისში);
- იძულებით გადაადგილებულ პირთა 11 კოტეჯური ტიპის დასახლებისთვის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და დრენაჟის დეტალური პროექტის მომზადება და პროექტის ინსპექტირების მომსახურების უზრუნველყოფა;
- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 28 კოლექტიური ცენტრის რეკონსტრუქციის დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების დროს საავტორო ზედამხედველობა;
- ირიგაციისა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კომპონენტი (პროექტირება);
- პროექტის მომსახურების სხვა საოპერაციო ხარჯები.